

# ისტორიის ინსტრუმენტალიზაცია და მისი როლი საქართველოში კონფლიქტების წარმოშობისა და შენარჩუნების პროცესში



ავტორთა ჯგუფი,  
ილიაუნის ისტორიის სტუდენტური კლუბის წევრები:  
ზურაბ წურწუშია,  
გიორგი მენაფიჩე,  
ნინო ჩაჩანიძე,  
ნინო გაბაძე,  
გიორგი მძინარაშვილი.

*ნაშრომი მომზადდა კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის (ICCN) კავკასიური დიალოგის პროგრამის ფარგლებში, გლობალური პარტნიორობა შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციისთვის (GPPAC) და ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით.*

*ნაშრომში გამოყენებული ტერმინები და ტოპონიმები, ასევე მოსაზრებები და იდეები, გამოხატავს მხოლოდ კონკრეტული მასალის ავტორთა პირად პოზიციას და ყოველთვის არ ემთხვევა ICCN-ისა და მხარდამჭერი ორგანიზაციების მოსაზრებებსა და პოზიციას.*

სექტემბერი, 2020

თბილისი

## შესავალი

თანამედროვე ეპოქას პოსტ-სიმართლის ეპოქასაც უწოდებენ. მისთვის დამახასიათებელია არა უბრალოდ ფაქტების ფალსიფიკაცია, არამედ ფაქტებისა და პროფესიული მსჯელობისადმი ნაკლები ინტერესი. ასეთ დროს ისტორიის ინტერპრეტაცია და ინსტრუმენტალიზაცია ხშირად მხოლოდ პოლიტიკური ელიტების ხელში რჩება. გაყალბებული ისტორია „ჰიბრიდული ომის“ წარმოებისა და პოლიტიკური ნაბიჯების ლეგიტიმაციისთვის ხელსაყრელ ინსტრუმენტს წარმოადგენს, ეს კი, თავის მხრივ, კონფლიქტის პროვოცირების ფაქტორად შეიძლება იქნას გამოყენებული. აქედან გამომდინარე, კონფლიქტების წარმოქმნისა, თუ შემდგომ მისი აღმოფხვრის პროცესში გაყალბებული ისტორიის როლს გვერდს ვერ ავუვლით. ამ მოცემულობაში ძალიან მნიშვნელოვანია ისტორიკოსის როლი, რომელსაც თავისი წილი პასუხისმგებლობა და როლი აქვს კონფლიქტების ისტორიული საფუძვლების გაანალიზებაში. განსაკუთრებით დიდია ახალგაზრდა ისტორიკოსების როლი, რომლებიც უშუალოდ შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომი თაობაა, შესაბამისად, მათ ნაკლები ემოციური ბმა აქვთ საკვლევ საკითხთან. მკვლევრისათვის აუცილებელია საკვლევ საკითხისგან დისტანცირება, რაც ტრამვული მეხსიერების პირობებში ძალიან რთულია, ხოლო ახალგაზრდა ისტორიკოსებს შეუძლიათ თანამედროვე კვლევის მეთოდების, მიდგომების გამოყენებით სხვადასხვა პრიზმიდან საკითხის დანახვა. ასევე მნიშვნელოვანია კონფლიქტის პრევენციის პროცესში არა მარტო ახალგაზრდა ისტორიკოსების, არამედ ზოგადად ბევრი მიმართულებით, სამშვიდობო ინიციატივებში ახალგაზრდების ჩართულობა. მომავალ თაობებს, რომლებსაც უშუალოდ კონფლიქტისაგან მიღებული ტრამვული მეხსიერება და ემოციური

დამოკიდებულება ფაქტებთან არ აქვთ, შეუძლიათ ითანამშრომლონ, ურთიერთანამშრომლობის პრეცედენტები და პერსპექტივები შექმნან.

აღნიშნული კვლევა შეეცდება აჩვენოს, თუ რა როლს თამაშობს კონფლიქტის წარმოქმნაში ისტორიის პოლიტიზება და გაყალბებული ისტორიოგრაფია, ამავე დროს, როგორ ასაზრდოებს და კვებავს ის კონფლიქტს. კვლევა შეეცდება აჩვენოს, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ისტორიის პოლიტიზირებისაგან დაცლა და როგორია ამ პროცესში ახალგაზრდა ისტორიკოსების როლი.

### **კონფლიქტური ისტორიის განსხვავებული პერსპექტივები**

XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში, მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტების სიღრმისეული კვლევისა და ანალიზისას რთულია ყურადღება არ დაუთმო ისტორიისა და ისტორიოგრაფიის როლს. კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარეს კონფლიქტის და კონფლიქტამდელი განსხვავებული ისტორიები აქვთ, რაც დროთა განმავლობაში ყალიბდება, იცვლება და იღებს საბოლოო სახეს. იქმნება ალტერნატიული ისტორიები, რომლის ჩამოყალიბების პროცესში, ძირითადად ხდება ისტორიის ინსტრუმენტალიზაცია და მათი საკუთარ პოლიტიკურ დღის წესრიგზე მორგება. ასეთ დროს პოლიტიკური აქტორებისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია რეალური ისტორია და ის მარტივად შეიძლება ჩანაცვლდეს ალტერნატიული, „ყალბი ისტორიით“. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი გახლავთ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განცხადება და ისტორიული წიაღსვლები აფხაზეთზე და ცხინვალის რეგიონზე, სადაც მას ისრები საქართველოსკენ გადმოაქვს და საკუთარი ქმედებებისა და ინტერესების გასამართლებად, პირიქით, საქართველოს ადანაშაულებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციაში.<sup>1</sup> შეიძლება თავისუფლად ვივარაუდოთ, რომ რუსეთის

<sup>1</sup> <https://www.youtube.com/watch?v=yUt-BydYat4&feature=youtu.be> (წვდომის თარიღი 06.09.2020)

პრეზიდენტის მიერ ისტორიის შემოთავაზებული ინტერპეტაცია რუსეთის ოფიციალურ პოზიციას ნიშნავს. საქართველოს ისტორიაში გაუცნობიერებელი საზოგადოებისთვის ისტორიის მსგავსი ინტერპეტაცია სარწმუნო და ნამდვილ ისტორიად იქცევა. ისტორიის პუტინისეული ვერსია მისაღებია აფხაზური და ოსური საზოგადოებებისთვისაც, რადგან ისინი თანხვედრაშია მათ პოლიტიკურ ამოცანებთან. ეს “ყალბი ისტორია” კიდევ უფრო ამყარებს და აძლიერებს ანტიქართულ განწყობებს ოკუპირებულ რეგიონებში — აღვივებს კონფლიქტს და ხელს უშლის კონფლიქტის აღმოფხვრას.

ქართულ საზოგადოებაში, აფხაზების შესახებ, ძირითადად ორი განსხვავებული შეხედულება არსებობს. პირველი არის სახელმწიფოს ოფიციალური პოზიცია, რომელსაც საზოგადოების ნაწილიც იზიარებს და რომლის მიხედვითაც, აფხაზები ყოველთვის ერთიანი ქართული სამყაროს ნაწილი იყვნენ. ისინი დღესაც ჩვენი თანამოქალაქეები არიან, რომლებთანაც აუცილებელია საერთო ენის გამონახვა და ძველი ურთიერთობის აღდგენა.

მეორე პოზიცია კი შეიძლება ითქვას, უფრო მეინსტრიმული და პოპულარულია. საუბარია პავლე ინგოროყვას თეორიაზე, რომლის მიხედვითაც არსებობენ ძველი და ახალი აფხაზები. ძველი აფხაზები საქართველოს მკვიდრი ქართველები იყვნენ, ხოლო დღევანდელი აფხაზები საქართველოში XVI-XVII საუკუნეების შემდგომ ჩამოსახლებული ადიღურ-ჩერქეზული წარმოშობის აფსუები არიან.<sup>2</sup> ამ ჩამოსახლებულ ხალხს აფხაზები საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხის სახელის მიხედვით ეწოდათ. ეს თეორია ჯერ კიდევ XX საუკუნის 50-იან წლებში გახდა პოპულარული და შეიძინა პოლიტიკური განზომილება და მნიშვნელოვანი დაპირისპირების საგნად იქცა. ამგვარად, მეცნიერულმა ინტერპეტაციამ და შემდეგ უკვე მისმა პოლიტიკებამ კონფლიქტის პროვოცირების საფუძველი შექმნა. სწორედ ისტორიის ინსტრუმენტალიზაციამ გამოიწვია მიდგომა,

---

<sup>2</sup> პავლე ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ჟურნალი მნათობი, N.3, მარტი, 1950. თბილისი: სახელგამი. გვ. 116-153

რომ აფხაზები რადგან ქართველები არ არიან, ჩამოსახლებული სტუმრების სტატუსით უნდა იყვნენ ჩვენს ქვეყანაში, რაც ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება თანამედროვე სახელმწიფოებრიობის პრინციპებს — მოქალაქეთა თანასწორობასა და კანონის უზენაესობას. ინგოროყვას თეორია არის კონკრეტული ისტორიკოსის კონკრეტული აზრი, რომელიც შეიძლება მცდარიც იყოს და მასზე დისკუსია უნდა მიმდინარეობდეს ისტორიკოსთა საზოგადოებაში. დაუშვებელია ამ პოლემის პოლიტიკურ ჭრილში გადაყვანა, პოლიტიკური მიზნებისათვის მისი გამოყენება. დღესაც, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც კონფლიქტში ჩართული მხარეების დაახლოებას უშლის ხელს, სწორედ ის არის, რომ ხდება ისტორიის ინსტრუმენტალიზაცია და პოლიტიკურ სივრცეში გადაყვანა, რაც ფუნდამენტურად არასწორია.

აფხაზების სურვილს, გამოყოფოდნენ საქართველოს და შეექმნათ დამოუკიდებელი სახელმწიფო, სჭირდებოდა იდეოლოგიური საფუძველი. ისტორიის ინსტრუმენტალიზაცია და მისი პოლიტიზებული ინტერპრეტაცია ამ შემთხვევაშიც ეფექტურად გამოიყენებოდა. ამის ნათელი მაგალითია აფხაზური სკოლებისთვის დამტკიცებული X-XI კლასის სახელმძღვანელო, სადაც თითქმის სრულად იქნა განდევნილი ქართული კომპონენტი.<sup>3</sup> სახელმძღვანელოში გაერთიანებული საქართველოს ტერიტორია მე-13 საუკუნემდე მხოლოდ აფხაზთა სამეფოდაა მოხსენიებული, თხრობა კი ბაგრატ მესამის იქით არ მიდის და პროგრამიდან თითქმის სრულად ამოვარდნილია დავითისა და თამარის პერიოდი. ამგვარად, ხდება ქართული კომპონენტის და საერთო ისტორიის უკანა პლანზე გადაწევა. მსგავსი ისტორიის შესწავლის შემდეგ რიგითი აფხაზისთვის ქართველები ჩანან, როგორც ცალკედ მდგომი რიგითი მეზობლები, რომლებმაც მიიტაცეს აფხაზეთის ტერიტორია, აფხაზებმა კი ბრძოლით დაიბრუნეს იგი.

---

<sup>3</sup> Лакоба С. З. Бгажба О. Х. История - Абхазии: С древнейших времен до наших дней, Учебник для 10–11 классов общеобразовательных учебных заведений, 2015.

რაც შეეხება ქართულ სასკოლო სახელმძღვანელოებს, ამ შემთხვევაში თითქმის ყველა ინფორმაცია, აფხაზთა სამეფო-სამთავროს შესახებ, დაკავშირებულია ერთიანი საქართველოს კონტექსტთან, თუმცა აქაც ბევრი პრობლემაა.<sup>4</sup> თითქმის არაფერია ნათქვამი აფხაზთა სამთავროზე, გაერთიანებული საქართველოს დაშლის შემდეგ და ეს ბევრ ბუნდოვანებას იწვევს.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან თვალსაჩინოდ ჩანს, რომ მხარეების ისტორიებს შორის რადიკალური სხვაობაა და ყველა ცდილობს სათავისოდ განმარტოს ისტორია მხოლოდ მისთვის სარგებლის მომტან პოლიტიკურ დივიდენდად საქცევად. მნიშვნელოვანია რომ ყალბი ისტორიის დანერგვის მცდელობებს ისტორიკოსების მხრიდან სათანადო დასაბუთებული პასუხები გაეცეს. ჩვენი მხრივ კი მნიშვნელოვანია, რომ ისტორია დავუთმოთ ისტორიკოსებს და პოლიტიკურ დღის წესრიგს არ მოვარგოთ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოუდგენელია საერთო სახელმწიფოს მშენებლობა.

### **ისტორიის პოლიტიზირება და მისი შედეგები**

რა ხდის ისტორიას და ჩვენს ცოდნას ისტორიაზე ასეთ დესტრუქციულ ძალად?! შესაძლებელია ზოგიერთმა ადამიანმა პრობლემა სრულად ისტორიის მეცნიერებას გადააბრალოს. ამ მხრივ კი, ნამდვილად სუსტი სამიზნე არსებობს - ისტორია, რომელიც, როგორც მეცნიერება არ არის ზუსტი და აქ არ არსებობს მკაფიო ფორმულები, რომელსაც ჩვენ ვხვდებით საბუნებისმეტყველო სამეცნიერო დარგებში. კონკრეტული ფაქტის, მოვლენის ანალიზში, ერთი და იგივე წყაროების გამოყენებით სხვადასხვა ისტორიკოსმა შესაძლებელია განსხვავებული და ზოგჯერ უერთიერთდაპირისპირებული ანალიზი და ინტერპრეტაცია შემოგვთავაზონ. მაგრამ, არის კი ეს პრობლემა?! ამ კითხვაზე პასუხი უფრო უარყოფითია ვიდრე - დადებითი. ისტორიის მეცნიერების ეს ნაკლი მისი ბუნებაა, ის

---

<sup>4</sup> ნ. კილურაძე, გ. სანიკიძე, ლ. გორდეზიანი, ლ. ფირცხალავა, რ. გაჩეჩილაძე, ნ. ასათიანი - ისტორია მე-11 კლასი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2012.

ასეთია და ასეთ არაზუსტ მეცნიერებადვე დარჩება. პრობლემა ამ მეცნიერების მიერ შექმნილი ცოდნის გამოყენებისას იწყება. ამ ცოდნას ორი ძირითადი მომხმარებელი ჰყავს - საზოგადოება და პოლიტიკური ელიტები. თუკი საზოგადოება შემოთავაზებულ ისტორიას ეცნობა, იზიარებს და იყალიბებს წარმოდგენებს, პოლიტიკური ელიტები ამ ცოდნის დამკვეთები და გამავრცელებლები ხდებიან. ეს ერთგვარი წრეა სადაც სამივე მოქმედი პირი (მეცნიერი, საზოგადოება და პოლიტიკოსი) წრის შეკვრის მომენტიდან უერთიერთდამოკიდებული ხდება. მაგრამ, ცალკე აღებული მეცნიერება ან საზოგადოება იმდენად ზიანის მომტანი არ არის, რამდენადაც პოლიტიკური კლასი, რომელიც თავისი პარტიული თუ იდეოლოგიური მიზნებიდან გამომდინარე ერთის მხრივ ინტერპრეტირებს ისტორიას და შემდეგ ამ იდეოლოგიზირებულ ცოდნას აწვდის საზოგადოებას, განათლების სისტემის მეშვეობით. კიდევ უფრო, რომ დავაზუსტოთ „დამნაშავეს“ კატეგორია, ის პოლიტიკური ელიტის ნაწილია, რომელიც ვერ ქმნის რეალურ სამოქმედო გეგმას, ვერ აყალიბებს მომავლის გეგმებს და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად იყენებს პოპულიზმს. ძალაუფლების ხელში ჩაგდების პროცესში კი ისტორიის მანიპულირებით ის ერთის მხრივ უახლოვდება მიზანს, თუმცა ვერ ამჩნევს თუ რა საზოგადოებრივ ზიანს ატარებს.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში პოლიტიკური იდეოლოგიებიდან, ნაციონალიზმი გახდა დომინანტი. ეს პროცესი სამხრეთ კავკასიაში კარგად იყო შესამჩნევი. საბჭოთა კავშირის დროს გაბატონებული ნაციონალიზმი არა სამოქალაქო, არამედ - ეთნიკური ხასიათის იყო.

შედეგად ერთ მოკავშირე რესპუბლიკაში მცხოვრებ განსხვავებულ ერებს ერთმანეთისგან იზოლირებული ნაციონალიზმი უყალიბდებოდათ, რომელშიც მეზობელი ერის ადგილი მეორეხარისხოვანი იყო. მრავალეთნიკურ რესპუბლიკებში მსგავსი ნაციონალიზმი პრობლემას ქმნიდა ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების ძლიერების დროსაც. მაგალითად, აფხაზეთმა ინტელიგენციამ 1957, 1967, 1978 და 1989 წლებში მოსკოვს წერილობით მიმართა, რომ აფხაზეთი გამოყოფოდა

საქართველოს სსრ-ს და შეერთებოდა რსფსრ-ს.<sup>5</sup> ეს მოთხოვნები სხვა ბევრ სიმპტომთან ერთად აჩვენებდა შემდეგს - აფხაზები ვერ ხედავდნენ აფხაზეთში მცხოვრები ქართველების უფლებებს და აფხაზეთის სტატუსის გადაწყვეტა მათი და მოსკოვის შიდა საქმედ ჰქონდათ მიჩნეული. მართალია ქართული პოლიტიკური თუ ინტელექტუალური ელიტები მსგავს წერილებს არ წერდნენ, (ამის საჭიროება არ იყო) მაგრამ რადგან, ერთ საგანმანათლებლო სისტემაში ცხოვრობდნენ, მათაც მსგავსი მენტალიტეტი უყალიბდებოდათ. ამის გამოვლენაა, ქართული ეროვნული მოძრაობა, რომელიც მიზნად სახელმწიფოებრიობის აღდგენას ისახავდა. ეს მოძრაობა იყო ქართული და მასში სხვა ეროვნების წარმომადგენლებს მონაწილეობა არ მიუღიათ. რჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა, მხოლოდ ქართველების საქმე იყო, ხოლო სხვა ეროვნების მოქალაქეებს ეს საკითხი არ ადარდებდათ, ან - არ ეხებოდათ. სახელმწიფოებრიობის აღდგენა საერთო საქმედ ვერ გადაიქცა. სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ლიდერებმა ვერ შეძლეს, ან არ მოინდომეს ერთმანეთის დაინტერესება. მეტიც, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ქართველების აქტიურობა და სხვა ჯგუფების ჩაურევლობა/პასიურობა მათ გარიყვაში გადაიზარდა. მაგალითად, პოლიტიკური დისკუსიის ნაწილად იქცა აფხაზების ერის სტატუსი და მათი წარსული.<sup>6</sup>

ქართული, აფხაზური და ოსური საზოგადოებები, როგორი დაპირისპირებულიც უნდა ყოფილიყვნენ, მათ შორის მსგავსებები მაინც თვალშისაცემი იყო, რაც გამოიხატებოდა ისტორიისადმი დამოკიდებულებაში, ისტორიის საბუთად მოყვანაში, თანამედროვე პოლიტიკური პროცესების გასამართლებლად. გაჩნდა ცნებები, როგორცაა ისტორიული სამშობლო, ისტორიული აფხაზეთი, ისტორიული საქართველო და ა.შ.

<sup>5</sup> <https://ria.ru/20080701/112698696.html> (ბოლო წვდომა 6 ოქტომბერი, 2020)

<sup>6</sup> [https://www.youtube.com/watch?v=Pe4QP3\\_u3WY&ab\\_channel=GeminusJanus](https://www.youtube.com/watch?v=Pe4QP3_u3WY&ab_channel=GeminusJanus) (ბოლო წვდომა 6 ოქტომბერი, 2020)



სამოქალაქო ომის, ვარდების რევოლუციისა და სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესების შემდეგ, ქართული პოლიტიკური კლასი და აზროვნებაც შეიცვალა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მემარჯვენე ძალა პატრიოტთა ალიანსი, რამდენიმე მანდატით შევიდა პარლამენტში, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში ნაციონალისტურმა განწყობებმა იკლო. მსგავსი იდეოლოგიის ძალები უფრო ერთჯერადი გავლენის ჯგუფებად ჩამოყალიბდნენ, ვიდრე დომინანტ მოთამაშეებად.

ნაციონალური განზომილება კონფლიქტებმაც დაკარგეს, ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურ დონეზე. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ოკუპირებულ რეგიონებად გამოცხადდა<sup>7</sup> ეთნიკური დაპირისპირების კომპონენტი დღის წესრიგიდან ამოვარდა და ოკუპაცია სრულად პოლიტიკურ ასპექტში განიხილება. ამასთანავე სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ოკუპაციის ხაზს მიღმა დარჩენილებისთვის არაერთ სოციალურ სერვისს ითვალისწინებს - ეთნიკური დაპირისპირების კერებს ამცირებს. მიუხედავად ამისა, აფხაზეთთან და ოსებთან პირდაპირ დიალოგზე უარის თქმით, ძალაუნებურად აგრძელებს არსებობას ის აზრი, რომ ამ საზოგადოებებს მეორეხარისხოვანი როლი აკისრიათ. ძალთა ობიექტური შეფასებებით ცხადი ხდება, რომ ოს და აფხაზურ საზოგადოებებს ორივე რეგიონში ფორმალური ძალაუფლება აქვთ. მათ შეუძლიათ ჰყავდეთ „მთავრობა“, დანიშნონ ან გაათავისუფლონ მასწავლებლები, მინისტრები, მაგრამ ორივე რეგიონი რუსული კონტროლის ქვეშ რჩება და საკვანძო საკითხებში არც აფხაზებსა და არც ოსებს ცალმხრივად არ შეუძლიათ მოქმედება.

შეიარაღებული კონფლიქტიდან 30 წლიანი ისტორიის შემდეგ, თუკი ქართულ საზოგადოებაში შეინიშნება პოლიტიკოსების ნაკლები ინტერესი ისტორიისადმი და ნაციონალიზმით მანიპულირება, სრულიად განსხვავებული სურათია აფხაზეთში. აქ დღემდე ეთნიკური ნაციონალიზმის დომინანციაა, სადაც ისტორია (არა მხოლოდ შუა

---

<sup>7</sup> საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/19132?publication=8> (ბოლო წვდომა 6 ოქტომბერი, 2020)

საუკუნეების, არამედ მეოცე საუკუნის) აქტიურად გამოიყენება საზოგადოებაზე ზემოქმედებისა და მანიპულაციისთვის, მტრის ხატის შესაქმნელად. მკვიდრდება წარმოდგენები რომ აფხაზეთს საქართველოსთან არანაირი კავშირი არ აქვს, რომ ქართველები იქ მხოლოდ ბერიას დროს ჩაასახლეს. მსგავსი მიდგომები მიზნად ისახავს კონფლიქტის მოგვარების შემდეგ დევნილთა საკითხზე მსჯელობისას მათი არ დაბრუნების აზრის მხარდაჭერას. მართალი ქართულ საზოგადოებაშიც დომინირებს „ორი აფხაზი ერის“ თეორია, მაგრამ ამ აზრების მატარებელი პოლიტიკური ან ინტელექტუალური ძალები არ არიან დღეს გადაწყვეტილების მიმღებნი.

მას შემდეგ რაც საქართველოში ეთნიკური ნაციონალიზმის იდეოლოგიის მატარებელი ძალები ხელისუფლებას მოშორდნენ - საზოგადოებამ ნელა და შეცდომებით, მაგრამ მაინც განვითარებისკენ დაიწყო სიარული. ეს პროცესები კიდევ უფრო თვალშისაცემია, როდესაც აკვირდები აფხაზურ საზოგადოებას. დღევანდელი თბილისის პრობლემა არა მიდგომებში, არამედ გადაწყვეტილებების აღსრულების ნაწილში პასიურობით აისახება. მაგალითად, ეთნიკური უმცირესობებისადმი სახელმწიფოს დეკლარირებული პოლიტიკა ინტეგრაციაა ასიმილაციის სანაცვლოდ. პრობლემას ქმნის ამ პოლიტიკის ნელი აღსრულება.

პოლიტიკის და საზოგადოებრივი ცხოვრების გავლენა ისტორიაზე ბოლომდე ვერ გაქრება. უფრო მეტიც, წარმატებული სახელმწიფოების მაგალითით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისტორიისგან უნდა შეიქმნას სწორი, ერთის მხრივ, მეცნიერულ ცოდნაზე და მეორეს მხრივ, საზოგადოების რეალურ მოთხოვნებზე დამყარებული ნარატივი. თუკი გასულ საუკუნეებში საჭირო იყო ქართული იდენტობის შექმნა და ისტორიის ამ კუთხით შესწავლა, ამჟამად ეს იდენტობა უკვე არსებობს და დღის წესრიგში დგას სახელმწიფოებრივი იდენტობის შექმნის აუცილებლობა.

საქართველოს ისტორია მხოლოდ ქართველი ხალხის ისტორია არ არის. სამოქალაქო ნაციონალიზმისა და იდენტობის შესაქმნელად საჭიროა ისტორიაზე ნაციონალიზმის

გავლენის შემცირება. მრავალეთნიკურ სახელმწიფოში ეთნიკური ნაციონალიზმი განსხვავებულ მარკერებს უსვამს ხაზს, მაშინ როდესაც სამოქალაქო ნაციონალიზმი, პირიქით, გამაერთიანებელ ნიშნებს ქმნის. ამ პროცესში კიაუცილებელია იმის გაცნობიერება, რომ ისტორია საზიაროა. ისევე როგორც აფხაზეთის ისტორია არ არის მხოლოდ ქართველების, ან აფხაზების, არამედეს მათი საერთო თანაცხოვრების ისტორიაა.

### **ახალგაზრდა ისტორიკოსების როლი კონფლიქტის მოგვარების პროცესში**

ქართველ და აფხაზ ხალხს საუკუნეების განმავლობაში საერთო ისტორია, წარსული, კულტურული ღირებულებები და ფასეულობები გააჩნდა, თუმცა სიტუაცია შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომ მკვეთრად შეიცვალა. აღნიშნული კონფლიქტის მოგვარების ურთულეს გზაზე მნიშვნელოვანია, ისტორიის პოლიტიზირებისაგან დაცლა, რაზეც ზემოთ უკვე დეტალურად ვისაუბრეთ. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი აქვს ახალგაზრდა ისტორიკოსების ჩართულობას, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება არსებული რეალობის შეცვლა. თუმცა, იმისათვის რომ აღნიშნული თემის მნიშვნელობაზე ვისაუბროთ, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, ორივე მხარემ კარგად გააცნობიეროს, თუ რამდენად საჭიროა ახალგაზრდების როლისა და მათი აქტივობების გაზრდა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში შერიგების და მოლაპარაკებების მიზნით.

ძირითადად ქართველების რეპრეზენტირება აფხაზურ საზოგადოებაში ხდება მტრის სახით, ამიტომაცაა აუცილებელი მეტი კონტაქტი, ურთიერთობები, საერთო აქტივობები, პროექტები ნეიტრალურ სიტუაციაში, რომელიც დაცლილი იქნება ყოველგვარი პოლიტიკური შეხედულებისგან, რადგან ყველამ ერთად შევძლოთ და სიმართლეს თვალი გავუსწოროთ, ყველაფერი ეს შეცვლის ერთმანეთისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას, რომელიც ხშირ შემთხვევაში მცდარია. მათ შორის არსებული გაყინული ურთიერთობები უნდა აღდგეს. უნდა შევძლოთ და ორივე

მხარემ დავინახოთ ის ფასეულობები, რაც გვაერთიანებს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ის ფაქტი, რომ 2007 წლიდან ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის „შერიგების რესურსების“ ეგიდით ქართველი და აფხაზი ახალგაზრდები, ნეიტრალურ ტერიტორიაზე ხვდებიან ერთმანეთს და დიალოგის ფორმატში მართავენ შეხვედრებს. <sup>8</sup>მსგავსი ტიპის შეხვედრები უკვე რამდენჯერმე ჩატარდა, რაც ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანი ნაბიჯია დაპირისპირების აღმოსაფხვრელად.<sup>9</sup> თუმცა კიდევ უფრო მეტად არის საჭირო ქართულ-აფხაზური ახალგაზრდული დიალოგის გააქტიურება ახალი ფორმატებით, რაც გულისხმობს ახალგაზრდა ისტორიკოსების ჩართულობას, რომლებიც შედარებით დაცლილნი არიან ემოციური ბმისგან და „აღჭურვილნი“ იმ „ინსტრუმენტებით“, რომლებიც თანამედროვე მკვლევარს სჭირდება. მსგავსი შეხვედრებისა და აქტივობების ხშირად გამართვა სწრაფადვე გამოიღებს შედეგს, რადგან სწორედ ასეთი ტიპის ურთიერთობის ხარჯზე არის შესაძლებელი, რომ შეხვედრებზე ქართველმა და აფხაზმა ახალგაზრდებმა უკეთ გაიცნონ ერთმანეთი. ისინი შეძლებენ, გაცვალონ სხვადასხვა სახის ინფორმაცია, გაუზიარონ თავიანთი პრობლემები თუ გამოცდილებები, რომლებიც შექმნის საერთო კომპრომისულ ისტორიაზე შეთანხმების საფუძველს. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე ასეთი მარტივი არ არის, პირიქით, ძალიან რთული და ხანგრძლივი პროცესია, თუმცა აუცილებელია, როგორც აფხაზ, ასევე ქართველ საზოგადოებასთან აქტიური მუშაობა, რადგან ზემოთ ხსენებული საერთო ისტორია თავად ამ საზოგადოებებისთვისაც მისაღები უნდა გახდეს.

გარდა ამისა, ცხადია, რომ აღნიშნული პრობლემა, რომლის წინაშეც უკვე მრავალი წელია ვართ, 15-20 ახალგაზრდის აქტიურებითა და მონდომებით არ გადაიჭრება. აუცილებელია მეტი ახალგაზრდის დაინტერესება და ჩართვა, ამისათვის კი

---

<sup>8</sup> ქართულ-აფხაზური ახალგაზრდული დიალოგი: პერსპექტივები და გამოწვევები - <https://ge.boell.org/ka/2010/06/16/kartul-apxazuri-axalgazrduli-dialogi-perspektivebi-dagamocvevebi?fbclid=IwAR2xJAhpokqLRXji9WXp2p-0G66JSJ-svY6gEZysZ3LI6B33snGG5sjwQ0> (26.08.2020)

<sup>9</sup> თ, გობოზაშვილი - ახალგაზრდობის როლი შერიგების პროცესში და მათი აქტივობები (აფხაზეთის მაგალითზე) - [https://openscience.ge/bitstream/1/1414/1/Ma%20-Thesis%20-Gobozashvili%20%20konfliqtebi.pdf?fbclid=IwAR3FUZ00zNoeWpwjgo8\\_skgxdvqSYxqJiM6pwNqkyJpYiB5Y3jRL0qUKZSM](https://openscience.ge/bitstream/1/1414/1/Ma%20-Thesis%20-Gobozashvili%20%20konfliqtebi.pdf?fbclid=IwAR3FUZ00zNoeWpwjgo8_skgxdvqSYxqJiM6pwNqkyJpYiB5Y3jRL0qUKZSM) (26.08.2020)

მნიშვნელოვანი ფაქტორია ახალგაზრდების ინფორმირებულობა, რის სიმწირესაც აშკარად განვიცდით ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებში. ინფორმირებულობა, კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ კონფლიქტების მოგვარების მიმართ ინტერესმა დროთა განმავლობაში არ იკლოს. ინფორმაციის ნაკლებობის ფაქტორი იკვეთება, როგორც ქართველ, ასევე აფხაზ ახალგაზრდებში, ისინიც ინფორმაციის სიმწირეს განიცდიან, ან თუ ინფორმაციას იღებენ, იგი ძირითადად ნეგატიური ხასიათისაა და სწორედ ამიტომ ყალიბდება ჩვენს საზოგადოებებში ერთმანეთისგან მტრის ხატი. ის, ვინც ამ კონფლიქტს ბოლო უნდა მოუღოს, იქნება ჯანსაღად მოაზროვნე, ახალგაზრდა თაობა, რომელიც დაცლილია ყველანაირი სუბიექტური მიდგომისგან, ხოლო ყველაზე დიდ პრობლემას, ისტორიის პოლიტიზებას, რომელიც მუდმივად აღვივებს კონფლიქტს და პოზიტიური თანამშრომლობის შესაძლებლობებს გვიკარგავს, ახალგაზრდა ისტორიკოსებმა უნდა გასცენ პასუხი. მეცნიერთა ახალ თაობას, რომელიც თანამედროვე კვლევის მეთოდებით არის აღჭურვილი, შეუძლია მრავალი პრიზმიდან დანახული ისტორია შექმნას.

ამგვარად, ჩვენი სახელმწიფო ჩვენგან დამოუკიდებლად წარმოადგენს მრავალ ეთნიკურ, რელიგიურ და კულტურულ სივრცეს, ხოლო პოლიტიზირებული ისტორია, რომელიც მხოლოდ ერთ ერს, ერთ კულტურას, ერთ რელიგიას ანიჭებს სრულ უპირატესობას ისე, რომ სხვისთვის ადგილიც არ რჩება, კონფლიქტის არა მხოლოდ წინაპირობა, არამედ მუდმივი მკვეზავია. ერთი მხრივ, პოლიტიკური და იდეოლოგიური გავლენისგან გათავისუფლება, ხოლო, მეორე მხრივ, სწორედ მრავალფეროვან საზოგადოებაზე მორგებული წარსულის მხარდაჭერა წარმოადგენს იმ აუცილებელ ალტერნატივას, რომელმაც უნდა ჩაანაცვლოს ეთნიკური და რელიგიური ნაციონალიზმის პოლიტიკური გავლენების მატარებელი ცოდნა ჩვენს საერთო წარსულზე, ისტორიაზე.